საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

06 ივნ 2024 წ.

KA000032020291624

№ **2024/1671**

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გიორგი გაბიტაშვილს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

რუსეთის ფედერაციის მოქალაქე [redacted] მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის შესაძლო ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.[1]

ბატონო გიორგი,

2023 წლის 20 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატს მიმართა რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, [redacted] ადვოკატმა. განმცხადებლის განმარტებით, 2023 წლის 28 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა [redacted] არ მისცეს შესაძლებლობა გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში და გამგზავრებულიყო თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ანტალიაში.

ფაქტობრივი გარემოებები

განცხადების თანახმად, 2023 წლის 28 სექტემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით (რეისი PC1841), [redacted] უნდა გამგზავრებულიყო თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გამგზავრების შესაძლებლობა არ მისცეს. პოლიციის თანამშრომლებმა ადვოკატს, რომელიც [redacted] ახლდა თან, ზეპირსიტყვიერად უთხრეს, რომ საქართველოს დატოვება [redacted] აკრძალული ჰქონდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის მიერ, თუმცა წერილობით არ განუმარტეს და არ გადასცეს საქართველოს ტერიტორიის დატოვებაზე უარის მიზეზის ამსახველი დოკუმენტი.

განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებებისა და [redacted] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რა საფუძვლით არ მიეცა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე [redacted]; დაწყებული იყო თუ არა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოყენებული იყო თუ არა მის მიმართ პასპორტის/ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის შეჩერების ღონისძიება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-165-ე მუხლების შესაბამისად.[2]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე [redacted] [redacted] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან პასუხი უკვე ეცნობა წერილობით და დამატებითი განმარტება აპარატს უწყებამ არ წარმოუდგენია.[3]

[redacted] გადმოცემით, 2023 წლის 28 სექტემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით მიემგზავრებოდა თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ანტალიაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, თითქოს პასპორტის გადამოწმების მიზეზით, რეისის გაფრენის დრომდე არ მისცეს თვითმფრინავში ასვლის შესაძლებლობა. შემდეგში, მისი ადვოკატის, [redacted] ჩართულობითა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელთან კონტაქტის შედეგად, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი საქართველოდან არ გაშვების მიზეზი იყო ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმე, რაზეც ამ დრომდე იგი სარგებლობს მოწმის სტატუსით. [redacted] თქმით, საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის გამო მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიიღო.[4]

ადვოკატის განმარტებით, 2023 წლის 28 სექტემბერს, დილის საათებში, [redacted] ერთად იმყოფებოდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. იქვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ზეპირი განმარტებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ [redacted] ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ აკრძალული ჰქონდა საქართველოდან გასვლა. ადვოკატის თქმით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან, 2023 წლის 28 სექტემბერს, 07:20:06 საათზე, მობილური ტელეფონით დაუკავშირდა გამომძიებელ [redacted] და უამბო შექმნილი ვითარების შესახებ. გამომძიებელი დაჰპირდა, რომ პრობლემას გადაჭრიდა და ცოტა ხანში დაუკავშირდებოდა. 07:40:52 საათზე [redacted] დაუკავშირდა და განუცხადა, რომ [redacted] აკრძალვა არ მოეხსნებოდა, შესაბამისად, იგი ვერ დატოვებდა საქართველოს.[5]

[redacted] სახალხო დამცველის აპარატში წარადგინა სატელეფონო ამონაწერი შემავალი და გამავალი ზარების შესახებ. მისი განმარტებით, აღნიშნულ ამონაწერში ასახულია მისი მობილური ტელეფონის ნომრიდან [redacted] 2023 წლის 28 სექტემბრიდან 29 სექტემბრამდე გამავალი და ამავე პერიოდში მის ნომერზე შემავალი ზარები. ადვოკატის თქმით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის, [redacted] მობილური ტელეფონის ნომერია [redacted]. ამონაწერის თანახმად, აღნიშნულ ნომერთან კომუნიკაცია განხორციელებულია 2023 წლის 28 სექტემბერს 07:20:06 საათზე და იმავე დღეს - 07:40:52 საათზე.

განმცხადებელმა აპარატში წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც, [redacted] მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია, 2023 წლის 28 სექტემბერს მისთვის საქართველოს დატოვების შესაძლებლობის არმიცემის მიზეზის შესახებ.[6] განმცხადებლის მიერ უწყებიდან მიღებული პასუხის თანახმად, 2023 წლის 13 ოქტომბრის მდგომარეობით, [redacted] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დატოვების სამართლებრივი შეზღუდვა არ ჰქონია.[7]

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.[8] ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.[9]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, თითოეულ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც.[10] აღნიშნული უფლება არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და შესაბამისობაშია წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებთან.[11]

უცხოელისთვის საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის საფუძვლები განსაზღვრულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით, რომლის თანახმად, უცხოელს საქართველოდან გასვლაზე შეიძლება უარი ეთქვას: ა) თუ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მას ეზღუდება საქართველოდან გასვლა; ბ) თუ იგი მსჯავრდებულია ჩადენილი დანაშაულისთვის - სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისგან გათავისუფლებამდე; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ იგი თავს არიდებს საქართველოს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას - მოვალეობის შესრულებამდე; დ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.[12]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ პირი, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, ბრალდებულია (მსჯავრდებულია) ამ კოდექსით დადგენილი წესით და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული პასპორტის/დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას.[13]

ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს,

რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. [14]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ბრალდებულისთვის პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულების დაკისრებას, აგრეთვე, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად აუცილებელი ნებისმიერი სხვა ღონისძიების განსაზღვრა, მათ შორის, საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვა, არის შესაძლებელი სასამართლოს გადაწყვეტილებით.[15]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.[16]

საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი

„სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანების თანახმად, „სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი".[17] ამავე ბრძანების თანახმად, „პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე".[18] აღნიშნული ბრძანება არ ითვალისწინებს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეზე განსაკუთრებულ საგამოძიებო ქვემდებარეობას და ამდენად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე საგამოძიებო ქვემდებარეობით განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას.

ამასთან, ამავე ბრძანების თანახმად, „თუ არსებობს კონკურენცია პროკურატურისა და ამ ბრძანებაში მითითებული რომელიმე ორგანოს საგამოძიებო ქვემდებარეობას შორის, გამოძიებას ახორციელებს პროკურატურა".[19]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი ითვალისწინებს საქართველოს გენერალური პროკურორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ, სისხლის სამართლის საქმის საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან საქმის ამოღებისა და გამოსაძიებლად სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემის უფლებამოსილებას.[20]

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამრიგად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე [redacted] საქართველოდან გასვლის უფლებით სარგებლობაში ხელშეშლის დროს, მის მიმართ არ ყოფილა დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და შესაბამისად, სასამართლოს მიერ არ ყოფილა მიღებული მისთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება. ამასთან, [redacted] მიმართ საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის სხვა კანონიერი საფუძვლის არსებობის ფაქტიც არ იკვეთება.

მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის 28 სექტემბერს [redacted] მიმართ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა გამოყენებული არ იყო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა არ მისცეს, რაც შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის კანონსაწინააღმდეგო მითითებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და გამომძიებლის ქმედების სამართლებრივი შეფასების მიზნით, აუცილებელია გამოძიების დაწყება და შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება.

ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაში იკვეთება როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შესაძლო მონაწილეობა, გამოძიების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა გამოძიება საქართველოს პროკურატურამ აწარმოოს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლების მიერ ადგილი ჰქონდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

1. დაიწყოთ გამოძიება [redacted] მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით;
2. გამოძიება დაუქვემდებაროთ პროკურატურის გამომძიებელს, ვინაიდან, აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილი იყოს, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ.

ამასთან, გთხოვთ, წინამდებარე წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართის სახით გიგზავნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული მასალების ასლებს.

დანართი:14 (თოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

---

[1] წინადადება მომზადებულია განმცხადებლისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე.
[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 29 ნოემბრის N15-8/11626 წერილი.
[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 4 დეკემბრის NMIA 7 23 03568898 წერილი.
[4] 2024 წლის 15 მარტს [redacted] ჩატარებული გასაუბრების ოქმი.
[5] 2024 წლის 15 მარტს ადვოკატ [redacted] ჩატარებული გასაუბრების ოქმი.
[6] [redacted] 2023 წლის 4 ოქტომბრის განცხადება.
[7] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 13 ოქტომბრის NMIA 3 23 03007102 წერილი.
[8] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 14, პუნქტი 1.
[9] იქვე, პუნქტი 2.
[10] „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 12, პუნქტი 2.
[11] იქვე, პუნქტი 3.
[12] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 49.
[13] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 163.
[14] იქვე, მუხლი 164.
[15] იქვე, მუხლი 199, ნაწილი 2.
[16] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 152, ნაწილი 2.
[17] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს ბრძანება N3, დანართი, პუნქტი 1.
[18] იქვე, პუნქტი 2.
[19] იქვე, პუნქტი 10.
[20] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33, ნაწილი 6, ქვეპუნქტი „ა“.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი